საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/4303
06/06/2023

4303-21-2-202306061751

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

მის: ქ. თბილისი, ალ ყაზბეგის №12

ელ-ფოსტა: info@georoad.ge

გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2022 წლის 21 ნოემბრის N2-08/18708 განცხადება, რომელიც ეხება ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფლების, გარბანის, გაიბოტენის, არშას, ფანშეტის და გერგეტის ტერიტორიებზე საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის 118-126-ე კმ-ზე, არშა-სტეფანწმინდას შემოვლითი გზის საპროექტო მონაკვეთის მშენებლობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიშს.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილის (N17/180 30.01.2023) თანახმად, სკოპინგის ანგარიშში მითითებულია, რომ საპროექტო ტერიტორიის გარკვეული მონაკვეთები ექცევა რიგი კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების (გაიბოტენის კვირაცხოვლის ნიშის, გაიბოტენის ნასოფლარის, ფანშეტის ცოდვილთ ქოხები-გამოქვაბულების, ფანშეტის სამქანაშვილების კოშკის, ნასოფლარ ძველი ფანშეტის, ფანშეტის ციხე-სახლის, სტეფანწმინდის ლომის გამოსახულებიანი წყარო-ფანტანის, ალექსანდრე ყაზბეგის სახლ-მუზეუმის და სტეფანწმინდის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიისა და სამრეკლოს) ვიზუალური დაცვის არეალებში, რაც იმას ნიშნავს, რომ „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პროექტი უნდა განხორციელდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს თანხმობის საფუძველზე. ამავე დროს, აუცილებელია პროექტში გათვალისწინებული იყოს ძეგლების არსებობის ფაქტორი და მოხდეს დაგეგმილი სამუშაოების ძეგლებზე შესაძლო ზემოქმედების რისკების შეფასება, რაც თან უნდა დაერთოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილ პროექტს. სკოპინგის ანგარიშში გაპარულია ტექნიკური უზუსტობა, კერძოდ წერია - „მოძრავი ძეგლებიდან აღსანიშნავია სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმი (მუზეუმი/მუზეუმ-ნაკრძალი)“ (იხ. გვ.135).

სტეფანწმინდის მუზეუმ-ნაკრძალი თავად კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლია, ხოლო მოძრავი ძეგლები დაცულია ამ მუზეუმში;

- ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის წერილის (102-1022235736 23/12/2022) თანახმად, სოფ.გერგეტის შესასვლელთან მონიშნულია სატრანსპორტო კვანძის მოწყობის პირობითი არეალი, სადაც მაგისტრალური გზისა და სტეფანწმინდა გერგეტის დამაკავშირებელი გზების გადაკვეთაა, შემდგომში აღნიშნული მაგისტრალი მიემართება ჩრდილოეთის მიმართულებით და შუაზე კვეთს მიმდებარე ტყე-პარკს (მეგობრობის პარკი). ტყე-პარკი (36 957 კვმ) წარმოადგენს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკუთრებას (ძირითადი ქონება) იგი ხელოვნურადაა გაშენებული, სადაც წარმოდგენილია ფართოფოთლოვანი და წიწვოვანი ხეების ნაირსახეობა, რომელთა სიმაღლე დაახლოებით 18-20მ-ს აღწევს. ტყე-პარკის ვიზუალური მხარე და განსაკუთრებული ადგილმდებარეობა მიმზიდველს ხდის, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ასევე დამსვენებლებისა და ტურისტებისთვის. ტერიტორიის დღევანდელი ფუნქციური მნიშვნელობა შეზღუდულია არარსებული ინფრასტრუქტურის გამო, გამომდინარე აქედან ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიამ შეისყიდა პარკის განვითარების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომლის ღირებულებაც შეადგენს 4076015 ლარს. მაგისტრალი შუაზე კვეთს ტყე-პარკს, რაც თავისთავად გამოიწვევს ტყე-პარკის ფუნქციური დანიშნულების გაუქმებას, რაც უარყოფითად აისახება მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებასა და სხვადასხვა გარემოებებზე. ამასთან, ტყე-პარკი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ძირითად (განუსხვისებელ) ქონებას, რომლის გამოყენებაც შეიძლება მხოლოდ მუნიციპალიტეტის საჯარო ფუნქციების შესასრულებლად და უფლებამოსილების განსახორციელებლად. ვინაიდან მაგისტრალის ზემოთაღნიშნული კვანძის პირობითი არეალი დასაზუსტებელია დეტალური პროექტირების ფარგლებში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოხდეს აღნიშნული კვანძის ადგილმდებარეობის ცვლილების გადახედვა, რომელიც შეძლებისდაგვარად მოახდენს მაგისტრალის ჩრდილოეთის მიმართულების ისეთ ცვლილებას, რომელიც ხელს არ შეუშლის პარკის ფუნქციური დანიშნულების ცვლილებას და მაქსიმალურად შენარჩუნებული იქნება არსებული სახით;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, პკ 37+76.4-ზე პროექტით გათვალისწინებულია გადაკვეთის მოწყობა, რომელიც გადაკვეთს სოფ. ფანშეტის დამაკავშირებელ გზას მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის არსებულ საავტომობილო გზასთან და საბაჟო ტერმინალთან. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ სოფელ ფანშეტიდან, დაახლოებით 200 მ-ში მდებარეობს საბაჟო გამშვები ტერმინალი, რომელიც მოსახლეობის ინფორმაციით, ბოლო წლებში სატრანსპორტო საშუალებათა გაზრდილი რაოდენობის ფონზე, მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას უქმნის სოფელ ფანშეტს ხმაურისა და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების კუთხით. პროექტის განხორციელების შემთხვევაში კი, სატრანსპორტო ნაკადები გადაინაცვლებს სოფ. ფანშეტში, ე.წ გზაჯვარედინთან, თუმცა სკოპინგის ანგარიშში არ არის სათანადოდ შეფასებული სოფელ ფანშეტზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების საკითხი, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- გარემოზე ზემოქმედების სრულფასოვანი/სრულყოფილი შეფასებისათვის და ეფექტური შემარბილებელი, პრევენციული, საკომპენსაციო ღონისძიებების დასახვა-განხორციელების მიზნით მიზანშეწონილია - ასფალტ/ბეტონის კვანძის (საჭიროების შემთხვევაში) ოპერირებისთვის საჭირო პროექტი წარმოდგენილ იქნეს - არშა-სტეფანწმინდას შემოვლითი გზის საპროექტო მონაკვეთის მშენებლობისა და

ექსპლუატაციის პროექტთან ერთად ერთიანი ანგარიშის სახით, როგორც პროექტის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი;

- დასაზუსტებელია ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ალტერნატივების შესახებ. კერძოდ, ანგარიშში განხილულ ალტერნატიულ ვარიანტებს ერთმანეთისგან საპროექტო სიჩქარე განასხვავებთ, რის ნაცვლადაც წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ყველა გონივრული ალტერნატივის შესახებ, თითოეული ალტერნატიული ვარიანტის დადებითი-უარყოფითი მხარეების მითითებით და **შერჩეული ალტერნატივის გარემოსდაცვითი დასაბუთებით, ამასთან მნიშვნელოვანია ალტერნატიული ტერიტორიები შეფასდეს ბიომრავალფეროვნებაზე შესაძლო ზემოქმედების კუთხითაც;**
- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი სურათი 1 (გვ.10) უნდა მოიცავდეს პირობით ნიშნებს; ასევე სურათი 12 (გვ.29)- წარმოდგენილი რუკა არ არის კითხვადი;
- სკოპინგის ანგარიშში არ არის სათანადოდ განხილული და დაზუსტებას საჭიროებს კუმულაციური ზემოქმედების საკითხი, საჭიროების შემთხვევაში სათანადო პრევენციული და საკომპენსაციო ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების მიზნით;
- ვინაიდან მდ. თერგი წარმოადგენს წავის (Lutra lutra) პოტენციურ ჰაბიტატს, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს წავის საპროექტო ტერიტორიაზე არსებობასა და დაგეგმილი საქმიანობით მათზე მოსალოდნელ ზემოქმედებაზე, საჭიროების შემთხვევაში სათანადო პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა- განხორციელების მიზნით;
- ბიომრავალფეროვნების კუთხით, ჩატარებული წინასამშენებლო კვლევები მოიცავს 2022 წლის ივნისის თვის საველე კვლევებს. მიზანშეწონილია, სკოპინგის ანგარიშში აისახოს კვლევებზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია უშუალოდ პროექტის გავლენის ზონაში არსებულ მცენარეებზე, ცხოველებზე, იქთიოფაუნაზე (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს "წითელ ნუსხით" დაცულ სახეობებზე) და ჰაბიტატებზე, მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებაზე და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებებზე. **იმ შემთხვევაში, თუ პროექტირების ეტაპზე განხორციელდება ალტერნატივების ცვლილება, საჭირო იქნება განახლებული წინასამშენებლო კვლევები, ბიომრავალფეროვნების კუთხით.**

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვები გაიმართა 2022 წლის 15 და 16 დეკემბერს, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფ. არშას საჯარო სკოლისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის შენობებში, სადაც დამსწრე საზოგადოების ნაწილმა დააფიქსირა საწინააღმდეგო პოზიცია პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით (იხ. საჯარო განხილვის ოქმები). ამასთან, ადგილობრივმა მოსახლეობამ საჯარო განხილვაზე წარადგინა პროექტის განხორციელების ალტერნატიული ვარიანტი, პროექტით მოსალოდნელი ზემოქმედების მაქსიმალურად შემცირების მიზნით, ასევე ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, წარმოდგენილ იქნა წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები (N7600 21/12/2022; N7665 22/12/2022), პროექტთან დაკავშირებით მათ შორის:

- გზის გაყვანის შესაძლებლობა მოქმედ ტერმინალსა და მდ. თერგს შორის, ხოლო გადაკვეთის მოწყობა ტერმინალის სამხრეთ-დასავლეთით. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, არშა-ფანშეტის უბანზე მდ. თერგის კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი გარეცხვის სიღრმის დადგენა არ იქნა მიჩნეული მიზანშეწონილად, ვინაიდან საპროექტო გზის ვაკისი მოშორებულია მდინარის კალაპოტიდან და მისი

დატბორვა ან შეტბორვა მოსალოდნელი არ არის. **თუმცა იმ შემთხვევაში, თუ დაიგეგმება პროექტის შეთავაზებული ალტერნატიული ვარიანტის განხილვა დეტალურად იქნება შესასწავლი მდ. თერგის ზემოქმედების საკითხი ახალი საპროექტო ვაკისის მიმართებით, სათანადო შემარბილებელი ღონისძიებების წარმოდგენით;**

- სკოპინგის ანგარიშში და საჯარო განხილვაზე წარმოდგენილი საპროექტო სქემის მიხედვით, დაგეგმილია გზის გატარება სოფ. გაიბოტენთან, კლდესთან ახლოს. **ადგილობრივი მოსახლეობა თვლის, რომ უპირატესი იქნება, თუ საპროექტო გზა გაივლის მდინარის ხეობასთან ახლოს, გაიბოტენის ნასოფლარის კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის გათვალისწინებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოპინგის ანგარიშში განხილულ უნდა იქნეს გზის გადატანის შესახებ ინფორმაცია, ხოლო განუხორციელებლობის შემთხვევაში წარმოდგენილ იქნეს სათანადო დასაბუთება;**
- მოსახლეობის მხრიდან წარმოდგენილი ინფორმაციით, პროექტის განხორციელების შემთხვევაში სოფელი ფანშეტი ხდება ყოველი მხრიდან ჩაკეტილი. ჩრდილო-დასავლეთით სოფელს ესაზღვრება კავკასიონის მთიანი სისტემა, რაც ხშირი ქვათაცვენისა და ზვავსაშიშროების მიზეზია, შესაბამისად გამოუსადეგარია საკარმიდამო ან/და საოჯახო მეურნეობის მოსაწყობად, ამასთან სოფ. ფანშეტში გადის მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზები, რაც ხელს უშლის მშენებლობის პროცესებს, ხოლო აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით იკეტება პროექტის განხორციელების შემთხვევაში. აღნიშნული საკითხი საჭიროებს შეფასებას და სკოპინგის ანგარიშში სათანადო ინფორმაციის ასახვას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო წყვეტს სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებას. სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას სააგენტო დაიწყებს წერილში მითითებული საკითხების მათ შორის მოსახლეობის მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით, განახლებული/კორექტირებული სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ. **ამასთან, გთხოვთ, წერილში მითითებულ საკითხებზე რეაგირების შესახებ ინფორმაცია განახლებულ სკოპინგის ანგარიშში წარმოადგინოთ ცხრილის სახით, შესაბამისი გვერდების მითითებით.**

დანართი: ელ. ვერსია

ნინო თანდილაშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო